სადემონტაჟო შენობების აზომვითი ნახაზი



1/1	---	2.53	კვ/მ
2/1	---	22.39	კვ/მ
3/1	---	6.36	კვ/მ
4/1	---	2.24	კვ/მ
5/2	---	228.84	კვ/მ
6/1	---	15.06	კვ/მ
7/1	---	30.27	კვ/მ

შ.პ.ს "ლ ი ლ ე ო"

LTD "L I L E O"

№ 24 04 15 24 აპრილი 2015 წ.

საექსპერტო დასკვნა ქ.თბილისი, ისნის რაიონი, შორაპნის ქუჩაზე ს/კ 01.17.13.025.004 და 01.17.13.025.005 მიწის ნაკვეთებზე განთავსებული შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ

აღწერილობითი ნაწილი

ჩვენი კომპანიის სპეციალისტების მიერ ვიზუალური შემოწმება ჩაუტარდა ქ.თბილისი, ისნის რაიონი, შორაპნის ქ.№28ა-ს შპს "სქაიჰაუსი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო სამუშაოების ჩატარების მიზანშეწონილობას და ასევე მომიჯნავედ (მიწის ნაკვეთები ს/კ 01.17.13.025.004 და 01.17.13.025.005) მდებარე შენობა-ნაგებობების ტექნიკურ მდგომარეობას, მათზე შორაპნის ქ.№28ა-ში სამშენებლო სამუშაოების ჩატარების დროს შესაძლო უარყოფით გავლენასთან დაკავშირებით.

შესასწავლი სამშენებლო პოლიგონი მდებარეობს თბილისში ისნის უბნის ტერიტორიაზე. აღნიშნულ ტერიტორიაზე (შორაპნის ქ.№28ა) პროექტით გათვალისწინებულია ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, რომლის მზიდი კარკასი რკ/ბეტონის წერტილოვან-ლენტური ტიპის საძირკვლის მქონე რკ/ბეტონის მონოლითური ჩონჩხედია. პროექტის მიხედვით სახლი განთავსდება მომიჯნავე ნაკვეთებს შორის, შორაპნის ქუჩის გასწვრივ ეზოში.

მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.17.13.025.004 განთავსებულია შენობა-ნაგებობები საკადასტრო კოდით 1/3 და 2/1 შენობა 1/3 წარმოადგენს სამსართულიან რკ/ბეტონის მზიდი კარკასის მქონე საცხოვრებელ სახლს, რომელიც აშენებულია გასული საუკუნის 90-იან წლების ბოლოს. საძირკველი წერტილოვან ლენტურია, კედლების შემავსებლად გამოყენებულია წვრილი სამშენებლო ბლოკი და აგური, გადახურვა მოწყობილია ხის კონსტრიქციებზე ლითონის ფურცლოვანის ბურვილით. შენობის ვიზუალურმა შემოწმებამ აჩვენა, რომ მისი ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ფასადებსა და მზიდ კონსტრუქციებზე არ შეიმჩნევა ჯდენითი მოვლენები და რაიმე სახის მექანიკური დაზიანებები. შენობა 2/1 წარმოადგენს მცირე გაბარიტული ზომების მქონე სამეურნეო-დამხმარე სათავსოს ტიპის ნაგებობას, რომლის ტექნიკური მდგომარეობაც ამ დროისთვის დამაკმაყოფილებელია.

მიწის ნაკვეთი ს/კ 01.17.13.025.005 არსებული ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი საკადასტრო კოდით 01/2 სავარაუდოდ აშენებულია გასული საუკუნის მეორე ნახევარში, მისი

შემოწმება ჩვენი სპეციალისტების მიერ მოხდა ვიზუალურად, საძირკველი ლენტური ტიპისაა, კედლების შემავსებლად მიღებულია წვრილი სამშენებლო ბლოკი და აგური (შენობა გარედან შელესილია ქვიშა-ცემენტის ხსნარით, გამომდინარე აქედან შემავსებელი მასალის დაზუსტება ჩვენს მიერ ვერ მოხდა) გადახურვა ხის კონსტრუქციებითაა გადაწყვეტილი, გადახურვის მასალად გამოყენებულია ლითონის მოთუთიებული ფურცლოვანა.

ვიზუალურმა შემოწმებამ აჩვენა, რომ შენობის მზიდი კონსტრუქციების და მათი შემადგენელი ელემენტების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, ამ დროისთვის მას არ გააჩნია მექანიკური ან/და სხვა სახის დაზიანებები.

პროექტის მიხედვით საპროექტო შენობასა ეწყობა დამოუკიდებელ წერტილოვან-ლენტური ტიპის საძირკველზე საპროექტო საძირკველი ჩადის 2.00 მ-ის სიღრმეზე და ეწყობა შედარებით მყარ ქანებზე, რასაც სამშენებლო სამუშაოების დროს მინიმალურ ზღვრამდე დაყავს საპროექტო შენობის აგრესიული ზემოქმედება არსებულ შენობასთან. ამ შემთხვევაშიც სამეზობლო მიჯნასთან ამოსაღები წერტილოვანი საძირკვლის ქვაბულების ამოღების სამუშაოები საჭიროა ჩატარდეს ხელით.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ საპროექტო შენობის მომიჯნავე შენობა-ნაგებობების (მიწის ნაკვეთები 01.17.13.025.004 და 01.17.13.025.005) დღევანდელი ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

გენ. დირექტორი: ალ. ყურაშვილი